მდგრადი განვითარება და ჩვენი პლანეტის ხუთი აქტუალური პრობლემა

ავტორი [მაია ბლიაძე]

გლობალური პრობლემების შესახებ საუბრისას, პირველ რიგში ეკოლოგიური პრობლემა გარემოს – ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაჭუჭყიანება და კლიმატის ცვლილება, ტყეების დაცვა, ნარჩენების უტილიზაცია და სხვ. გვახსენდება. ჩვენი პლანეტის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემებთან დაკავშირებული საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს. მაგრამ, ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ გვერდით არსებობს ადამიანებთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებიც. სამწუხაროდ, მარტო ბუნება არაა საფრთხეში. იუნესკო-მ გამოიკვლია ეს პრობლემები და მათ შორის 5 ყველაზე აქტუალური პრობლემა გამოყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს პრობლემები.

დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა და არათანაბარი განაწილება

1950 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 2.5 მლრდ. ადამიანი იყო. 2000 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობამ 6 მლრდ-ს გადააჭარბა, ხოლო 2005 წელს ექსპერტთა ვარაუდით იგი 8 მლრდ-ს მიაღწევს. (იხ. ნახ.1) არ საჭიროებს მტკიცებას, რომ მოსახლეობის ზრდა გარემოს დეგრადაციას იწვევს. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის შედარებით ინტენსიური ზრდა დედამიწის იმ ზონებში აღინიშნება, სადაც ბუნებრივი რესურსები ისედაც საკმაოდ შეზღუდულია. 1990-1995 წლებში მოსახლეობის ნამატის 94% სწორედ განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ტენდენცია 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდება.



ნახ. 1. დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების თავისებურებანი.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შედეგების პროგნოზებს შორის, განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვის რეგიონებსა და ღარიბ ქვეყნებში, გამოირჩევა: მსხვილი ქალაქების ზრდა (ურბანიზაცია); ცხოვრების დონის შემდგომი გაუარესება; დაფინანსების შემცირება განათლებასა და ჯანდაცვაზე; გარემოს მდგომარეობის გაუარესება და დეგრადაცია.

სიღარიბის მუდმივი ზრდა

სიღარიბე ნაწილობრივ მოსახლეობის რაოდენობის მუდმივი ზრდის თანამდევი შედეგია და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობასა და მდგრად განვითარებას. მილიარდზე მეტი ადამიანი, ანუ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/3-ზე მეტი განსაკუთრებულ სიღატაკეში ცხოვრობს და მათი შემოსავალი დღეში 1დოლარზე ნაკლებია. მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. სიღარიბეს თან სდევს ბუნებრივი რესურსების – მიწის, წყლის, ხე-ტყის, მცენარეულობის ბოროტად გამოყენება. სიღარიბე ართულებს ისეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა გარემოს დაცვა, სასურსათო უზრუნველყოფის უსაფრთხოება. სიღარიბე პრაქტიკულად ხელმიუწვდომელს ხდის განათლებას, სამედიცინო მომსახურებას, ჯანსაღი თაობის აღწარმოებას. გარდა ამისა, სიღარიბე პროვოცირებას უკეთებს ძალადობის, ომებისა და ლოკალური კონფლიქტების კერების წარმოქმნას, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის განვითარების სტაბილურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.



ნახ. 2 . სიღარიბის ინდიკატორები

სიღარიბის პრობლემა მხოლოდ ეკონომიკური ზომების გატარებით არ გადაიჭრება. საჭიროა პოლიტიკური და სოციალური რეფორმების გატარება, რადგან სიღარიბე წარმოქმნება არა მხოლოდ ბუნებრივი მიზეზებით, არამედ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული წარმოებისა და პროდუქციის არათანაბარი განაწილებითაც. ამჟამად, დედამიწის უმდიდრესი მოსახლეობის ¼ მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების ¾-ს იყენებს. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ დიდი განსხვავებაა არა მხოლოდ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, არამედ ცალკეულ ადამიანებს შორისაც.



ნახ. 3. მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება და უთანაბრობა მსოფლიო შემოსავლების განაწილებას შორის.

სიღარიბის შემცირება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი, მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პირობაა.

გარემოზე მზარდი ზემოქმედება

სამრეწველო რევოლუციამ და ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ, ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების მოხმარებამ, სწრაფად მზარდი მოსახლეობის სურსათითა და ტანსაცმლით დაკმაყოფილების მიზნით, სერიოზული ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ეკოსისტემაზე გლობალური მასშტაბით. ამჟამად არსებული პრობლემები და რისკები მეტად მრავალფეროვანია. მაგ; მსოფლიოს ბევრ რეგიონში ელექტროენერგიის მისაღებად საწვავ წიაღისეულს იყენებენ. ნახშირისა და მაზუთის წვის შედეგად მიღებული გამონაბოლქვი ნიადაგის მჟავიანობის მიზეზი ხდება, რაც დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს მცენარეულ საფარსა და წყლის ეკოსისტემაზე. ასევე იწვევს ატმოსფეროში სათბური აირების დაგროვებას, რის შედეგადაც ხდება გლობალური კლიმატის ცვლილება და ოკეანის დონის მატება.

გარემოს დაჭუჭყიანებისა და ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციის შედეგად ადგილი აქვს მიწების დეგრადაციას, სასოფლო-სამურნეო სავარგულების ფართობებისა და პროდუქტიულობის შემცირებას. მაშასადამე, გარემოზე ხანგრძლივი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ირღვევა ბუნებრივი სისტემების წონასწორობა და ნადგურდება ეკოსისტემები. ზოგიერთი ასეთი ცვლილება, მაგ: ბიომრავალფეროვნების შემცირება შეუქცევადი პროცესია. თუ არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები, სხვა პროცესებმაც შესაძლოა ასევე მალე გადალახონ კრიტიკული ზღვარი. მდგრადი განვითარების იდეოლოგია დაფუძნებულია ეკონომიკური განვითარებისა და ეკოლოგიურ მიზნებს შორის არსებული „უთანხმოების“ აღმოფხვრაზე.

ადამიანის დემოკრატიული თავისუფლებისა და უფლებების შეზღუდვა, ძალადობისა და კონფლიქტების ზრდა

უთანასწორობა შეინიშნება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში: ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში, სამუშაო ადგილების განაწილებაში, სოციალური უზრუნველყოფისა და მომსახურების სფეროს მიღწევადობაში და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ გავლენებსა და მართვაში. სწორედ ესაა მსოფლიოში მუდმივად მიმდინარე კოფლექტების ძირითადი მიზეზები. თვით ყველაზე „დემოკრატიულ“ ქვეყნებშიც კი არ არსებობს მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგ: მოქალქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, თუმცა სინამდვილეში ისინი არ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების ცხოვრებასა და სახელმწიფოზე.

სახელმწიფო, რომლის მოვალეობაა კანონის შესრულება და დაცვა, ხშირად თავადვე იგნორირებას უკეთებს მას, რის გამოც ირღვევა ადამიანის უფლებები, ხოლო ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები მწვავდება პოლიტიკური და პირადი მიზეზების გამო. 1990 წლიდან მოყოლებული ათიდან ცხრა ომი ქვეყნების შიგნით მიმდინარეობს და ამ კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთა 90% მშვიდობიანი მოსახლეობაა. მშვიდობა – მდგრადი განვითარების მთავარი პირობა და გარანტია.

ეკონომიკური განვითარების მიზნების შეუსაბამობა გარემოს დაცვასთან

დღევანდელი რეალობა მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ცნებაში ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების შეტანას. ეკონომიკური ზრდა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას და არ უნდა სცდებოდეს ბუნების კანონებით განსაზღვრულ ჩარჩოებს. საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონის შესადარებლად ადამიანთა კეთილდღეობის დონე ითვლება, რომელიც ეროვნული შიდა პროდუქტით იზომება. შეფასება, რომ ხშირად შედეგის მიღწევა ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე საბოლოო მიზანი, მე-20 საუკუნეში დაინერგა და მხოლოდ ახალი საუკუნის დასაწყისში გახდა ნათელი. უკვე ნათელია, რომ შემდგომში ტექნიკური პროგრესი და საზოგადოების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოება ბუნებასთან ჰარმონიაში განვითარდება.

დღეს კაცობრიობა უკვე აღჭურვილია საკმარისი აუცილებელი ცოდნითა და გამოცდილებით, რომ განვითარება შემოატრიალოს მდგრადობის მიმართულებით და დანერგოს ახალი, ე.წ. „მდგრადი განვითარების ტექნოლოგიები“.